დამტკიცებულია სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის

სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წარმომადგენლობითი საბჭოს

2024 წლის ----20 სექტემბერი--სხდომის N----09- ოქმით

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის

სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ეთიკის კოდექსი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის (შემდგომში - აკადემია') ეთიკის კოდექსი (შემდგომში - კოდექსი) ადგენს აკადემიის პერსონალისა (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, შტატგარეშე თანამშრომლები და მასწავლებლები) და სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა (შემდგომში - სტუდენტი) ქცევის წესებს, საქმიანობის პრინციპებს, ურთიერთობის ეთიკურ სტანდარტებს, ზნეობრივ ნორმებსა და პასუხისმგებლობას კოდექსთან შეუთავსებელი ქმედებისათვის.

1.2. კოდექსი სავალდებულოა შესასრულებლად და ეხება აკადემიის პერსონალს და ყველა სტუდენტს.

1.3. სტუდენტებთან მიმართებით კოდექსი თავისი შინაარსით წარმოადგენს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებულ „სტუდენტის ეთიკის კოდექსს“.

მუხლი 2. კოდექსის პრინციპები და სტანდარტები

2.1. აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს ევალებათ აკადემიის სარგებლობაში ან/და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე დაიცვან საზოგადოების მიერ აღიარებული ქცევის ეთიკური ნორმები.

2.2. აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის უნდა არსებობდეს პატივისცემასა და სამართლიანობაზე დაფუძნებული ურთიერთობა, სადაც დაუშვებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია.

2.3. აკადემიაში მოღვაწე პირთა საქმიანობა ხელს უნდა უწყობდეს საზოგადოებაში აკადემიის სახელისა და ავტორიტეტის განმტკიცებას და უნდა ეფუძნებოდეს ეთიკის მაღალ სტანდარტებს, კეთილსინდისიერებას და პატიოსნებას.

2.4. აკადემიის აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული პერსონალი და მასწავლებლები, როგორც აკადემიის საქმიანობის ძირითადი მიმართულების წარმმართველი ძალა, ვალდებულნი არიან:

ა) სასწავლო პროცესი წარმართონ აკადემიის მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმის და კონკრეტული დისციპლინის სილაბუსის მიხედვით, რისთვისაც დანიშნულებისამებრ და ეფექტიანად უნდა გამოიყენონ აკადემიის შენობა, ტექნიკა, აღჭურვილობა და სხვა რესურსები;

ბ) იმუშაონ აკადემიური, პედაგოგიური და პროფესიული დონის ასამაღლებლად, პერიოდულად განაახლონ სალექციო კურსის თემატიკა, რათა მასში აისახოს დარგის ან მეცნიერების შესაბამის სფეროში მიმდინარე პროცესები, ასევე, თავი შეიკავონ ისეთ საქმიანობაში ჩართვისა თუ ვალდებულებების აღებისაგან, რაც ხელს შეუშლის მათი პედაგოგიური მოვალეობების სრულფასოვნად განხორციელებას;

გ) გამოყონ სილაბუსით გათვალისწინებული დამატებითი საკონსულტაციო საათები, რათა გაუწიონ სტუდენტებს ინტელექტუალური და აკადემიური ხელმძღვანელობა;
დ) ლექცია-მეცადინეობა ჩაატარონ დროულად, იყვნენ ჯეროვნად მომზადებული და მაქსიმალურად ორგანიზებული, აგრეთვე, დანიშნულ დროს და დადგენილი წესის შესაბამისად ჩაატარონ გამოცდა და შეაფასონ ყველა გამოცხადებული სტუდენტის ცოდნა, ასევე, არ უნდა დაუშვან ლექციის დროზე ადრე დამთავრება, ან სერიოზული მიზეზის გარეშე გაცდენა, რა დროსაც გაფრთხილებული უნდა იყოს შესაბამისი ფაკულტეტის ხელმძღვანელობა, რათა მოხდეს უმოკლეს დროში გაცდენილი საათების აღდგენა;
ე) სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით შეიმუშაონ და დანერგონ სწავლებისა და შეფასების ისეთი მეთოდები, რომლებიც განაპირობებენ სტუდენტების აკადემიურ პატიოსნებას, გამორიცხავენ პლაგიატს, პროფანაციას, ფავორიტიზმსა და პროტექციონიზმს;
ვ) არ დაუშვან სტუდენტების შესაძლებლობათა გამოყენება პირადი გამორჩენის მიზნით, ანკოლეგებთან პროფესიული უთანხმოების ინსტრუმენტად;
ზ) პატივი სცენ კოლეგის აკადემიურ დამოუკიდებლობას, სამართლიანად და ობიექტურად შეაფასონ მათი საქმიანობა და ნაშრომები და ამასთან, კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული, არ უნდა გაკეთდეს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, აგრეთვე, არ დაუშვან კოლეგის დამცირება, შეურაცხყოფა ან უსაფუძვლოდ დადანაშაულება;
თ) თანაბრად და სამართლიანად გადაინაწილონ აკადემიის სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოვალეობები, აქტიური დახმარება გაუწიონ კოლეგებს პროფესიული განვითარების საქმეში, მიიღონ აქტიური მონაწილეობა აკადემიის საზოგადოებრივ თუ საორგანიზაციო საქმიანობაში;
ი) დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, აკადემიის შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და აკადემიის სხვა აქტები.

2.5. აკადემიის ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი და შტატგარეშე თანამშრომლები ვალდებული არიან:

ა) აკადემიაში შექმნან სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობისა და პროფესიული განვითარებისთვის აუცილებელი ფინანსურ-ეკონომიკური და სამუშაო გარემო;
ბ) თანამშრომლებსა და სტუდენტებს მოეპყრონ სამართლიანად და პატივისცემით;
გ) აკადემიის საჭიროებისათვის ეფექტიანად გამოიყენონ აკადემიის ქონება, სამუშაო დრო, ინტელექტუალური შესაძლებლობები და სხვა რესურსები;
დ) არ გაამჟღავნონ პროფესიული საქმიანობის დროს მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია;
ე) დაიცვან საქართველოს კანონმდებლობა, აკადემიის შინაგანაწესი, კოდექსი და აკადემიის სხვა აქტები.

2.6. სტუდენტი ვალდებულია:
ა) მიმართოს პროფესორ-მასწავლებელს, აკადემიის სხვა პერსონალსა და სტუდენტებსპატივისცემით;
ბ) ხელი არ შეუშალოს ლექტორს ან/და მასწავლებელს სალექციო კურსის ჩატარებაში;
გ) არ დააგვიანოს ლექციაზე/გამოცდაზე;
დ) სასწავლო პროგრამის საფუძველზე დადგენილი და სილაბუსით განსაზღვრული დავალებები შეასრულოს მიცემულ ვადებში;
ე) დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა, აკადემიის შინაგანაწესი, კოდექსი და აკადემიის სხვა აქტები, აკადემიასთან დადებული ხელშეკრულების პირობები.

2.7. აკადემიის პერსონალსა და სტუდენტებს ეკრძალებათ:

ა) დოკუმენტების და ინფორმაციის შეგნებულად გაყალბება;

ბ) ნებისმიერი სახის ძალადობა, მათ შორის, სიტყვიერი შეურაცხყოფა;

გ) აკადემიის კუთვნილი ინვენტარის განგებ დაზიანება, ვანდალიზმის გამოვლენა, რაც ასევეგულისხმობს კედლებზე წარწერებს და სხვადასხვა სახის გრაფიტით დამახინჯებას;

დ) აკადემიის სარგებლობაში ან/და კუთვნილ შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე ცეცხლსასროლი/ცივი იარაღის და სხვა ქიმიური თუ მომწამლავი ნივთიერებების შემოტანა;

ე) აკადემიის სარგებლობაში ან/და კუთვნილებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში ან/და ტერიტორიაზე, სადაც ის სწავლობს/საქმიანობას ეწევა, თამბაქოს მოწევა (გარდა აღნიშნულისთვის სპეციალურად გამოყოფილი ადგილისა), ალკოჰოლური სიმთვრალის ან/და ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების მდგომარეობაში შემოსვლა/ყოფნა, ასევე, ალკოჰოლური სასმელებისა და ნარკოტიკული ნივთიერებების აკადემიის ტერიტორიაზე შემოტანა ან/და მოხმარება;

ვ) აზარტული თამაშები;

ზ) საქართველოს კანონმდებლობის, აკადემიის შინაგანაწესისა, კოდექსისა და სხვა აქტების დარღვევა.

2.8. სტუდენტებს ასევე ეკრძალებათ აკადემიური სწავლების პროცესში სხვისი ინტელექტუალური საკუთრების მითვისება და პროფესორ-მასწავლებელთა შეგნებულად შეცდომაში შეყვანა, რაც, მათ შორის, მოიცავს სხვისი იდეების, ნაშრომების, პრეზენტაციებისა და ნამუშევრების მათ ავტორთან შეუთანხმებლად გამოყენებასა და საკუთარ შემოქმედებად წარმოჩენას.

2.9. ამ მუხლით განსაზღვრული აკრძალული ქცევის გამოვლენის შემთხვევაში, იგი განიხილება როგორც ეთიკის დარღვევა და შეიძლება გახდეს დისციპლინარული დევნის დაწყების საფუძველი.

2.10. სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს განიხილავს კოდექსის მე-3 მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური საბჭო (შესაბამისი ქმედების ჩადენიდან/ფაქტის გამოვლენიდან 2 (ორი) თვის ვადაში), ხოლო აკადემიის პერსონალის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები განიხილება აკადემიის შინაგანაწესის მე-14 მუხლის შესაბამისად.

2.11. ამ კოდექსიდან გამომდინარე საჩივრების განხილვა მიმდინარეობს კონფიდენციალურობის პრინციპის დაცვით, შემდეგი პროცედურების მიხედვით:

ა) სტუდენტის გარდა, ამ კოდექსით გათვალისწინებულ სხვა პირთა მიმართ (მათ შორის, სტუდენტის მხრიდან ამ პირთა მიმართ) საჩივრის შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის/ფაკულტეტის ხელმძღვანელი, ან კანცლერი, ან ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი მიმართავს რექტორს, რომლის ბრძანებით იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც წარმოადგენს დასკვნას, აკადემიის შინაგანაწესის მე-14 მუხლით განსაზღვრული სახდელების დადების ან დადებისგან უარის თქმის შესახებ;

ბ) დისციპლინური სახდელი გამოიყენება საჩივრის საფუძველზე გადაცდომის გამოვლენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, დამრღვევი პირის საავადმყოფო ფურცელზე, მივლინებაში ან შვებულებაში ყოფნის პერიოდის ჩაუთვლელად და მოცემულ შემთხვევაში, ერთთვიანი ვადის დინება ჩერდება საავადმყოფო ფურცელის დახურვამდე, ან მივლინებიდან/შვებულებიდან დაბრუნებამდე/გამოსვლამდე;

გ) ამ პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში მითითებულ პირთა მიმართ საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებიდან გამომდინარე სხვა საკითხები, მათ შორის, დაკისრებული სახდელის მოხსნის შესაძლებლობის თაობაზე განისაზღვრება აკადემიის შინაგანაწესის მე-14 მუხლით;

დ) სტუდენტის მიმართ საჩივრის განხილვას დისციპლინარული საბჭო განიხალავს ამ პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტში მითითებული გარემოების გათვალისწინებით, ხოლო თავად განხილვის პროცესის მიმდიანრეობა, გადაწყვეტილებების მიღებსი წესი და სტუდენტის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კოდექსის მე-3, მე-4 და მე-5 მუხლებით.

მუხლი 3. დისციპლინარული საბჭო

3.1. დისციპლინარული საბჭოს (შემდგომში - საბჭო) შემადგენლობა მტკიცდება აკადემიის რექტორის ბრძანებით და იგიგანიხილავს სტუდენტთა მიერ კოდექსით აღიარებული წესების დარღვევის საკითხებს.

3.2. კოდექსით განსაზღვრული სანქცია შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

3.3. საბჭო შედგება 5 წევრისაგან, რომელთაგან ერთი არის საბჭოს თავმჯდომარე (განისაზღვრება რექტორის ბრძანებით).

3.4. საბჭო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მის სხდომას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. სხდომას უძღვება საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - დამსწრე წევრების მიერ თავისი შემადგენლობიდან არჩეული სხდომის თავმჯდომარე. საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ხოლო ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის (მისი არყოფნის შემთხვევაში - სხდომის თავმჯდომარის) ხმა.

3.5. საბჭოსთვის მიმართვის უფლება აქვს ნებისმიერ პირს, რომელიც თვლის, რომ იგი გახდა მოწმე ან მისთვის გახდა ცნობილი, სტუდენტის მიერ კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შესახებ, ან მის მიმართ განხორციელდა სტუდენტის მხრიდან კოდექსით განსაზღვრული ბრალეული ქმედება.

მუხლი 4. სანქციები

4.1. საბჭო უფლებამოსილია, სტუდენტის მიერ კოდექსით განსაზღვრული ქცევის წესების დარღვევისათვის მიიღოს შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) გაფრთხილება, რაც პირის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნას მხოლოდ ერთხელ;

ბ) მიყენებული ზიანის გამოსწორების ვალდებულება;

გ) ჯარიმა - 150 (ას ორმოცდაათი) ლარის ოდენობით;

დ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა:

დ.ა) თუ გაფრთხილების მიუხედავად, სტუდენტი აგრძელებს ამ კოდექსით დადგენილი წესების დარღვევას;

დ.ბ) ამ პუნქტის „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა შეუსრულებლობის შემთხვევაში;

დ.გ) სტუდენტის მიერ იმგვარი საქციელის ჩადენის შემთხვევაში, თუ ამ ქმედების სიმძიმის გამო არარელევანტურია ამ პუნქტის „ა“, „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღება.

4.2. ამ მუხლის 4.1. პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია მიმართოს აკადემიის რექტორს, სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის რეკომენდაციით, ხოლო აკადემიის რექტორი უფლებამოსილია, აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე, გამოსცეს ბრძანება სტუდენტისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ.

4.3. აკადემია უფლებამოსილია, სტუდენტის მიერ ამ მუხლის 4.1. პუნქტის „ბ“ ან/და „გ“ ქვეპუნქტების მოთხოვნათა 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში (საბჭოს გადაწყვეტილების სტუდენტისთვის ჩაბარებიდან, ან წერილობით ან ელ-ფოსტით შეტყობინებიდან) შეუსრულებლობის შემთხვევაში, ან ამ მოთხოვნათა შესრულების შეუძლებლობის (მათ შორის, სტუდენტის მიერ ამ პერიოდში აკადემიაში სწავლის დასრულების) შემთხვევაში, მიმართოს სასამართლოს აღნიშნული სანქციის აღსრულების მოთხოვნით, მათ შორის, ზიანის ანაზღაურებასთან მიმართებით - რეგრესის წესით.

4.4. თუ აკადემიის პერსონალის ან/და სტუდენტის მიერ ჩადენილი ქმედება სავარაუდოდ ან აშკარად შეიცავს სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს, აკადემია ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს სამართალდამცავ ორგანოებს, შემდგომი რეაგირებისათვის.

მუხლი 5. დასკვნითი დებულებები

5.1. დისციპლინური პასუხისმგებლობის დაყენების შესახებ საკითხის საბჭოზე განსახილველადგადაცემის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია:

ა) დაესწროს საბჭოს სხდომას და მიეცეს განმარტების მიცემის შესაძლებლობა და ამასთანავე, მას შეიძლება ახლდეს წარმომადგენელი/წარმომადგენლები, რის შესახებაც წინასწარ უნდა აცნობოს საბჭოს;

ბ) წერილობით გამოითხოვოს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილება და საქმის მასალები;

გ) მოითხოვოს მის მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების გადახედვა, თუ არსებობს ახალი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც მანამდე იყო უცნობი და არსებითად ცვლის საქმის ვითარებას;

დ) ისარგებლოს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-9 და მე-11 პუნქტებით განსაზღვრული უფლებით.

5.2. სტუდენტის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვისას დაცულ უნდა იქნეს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-7, მე-8 და მე-10 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნები.